LegalTech Meetup Georgia

4-20 დეკემბერი

ხელოვნური ინტელექტი და ტექნოლოგიები იურისტებისთვის

კურსი შექმნილია Lawformer-თან და ევროპის იურიდიული ტექნოლოგიების ასოციაციასთან (ELTA) პარტნიორობით და ეხმარება ქართველ იურისტებს იურიდიული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

ფეოლაინ, დისტანციური ფორმატი

კურსის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

თანამედროვე იურიდიული სფერო ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან ეტაპზეა. ტრადიციული იურიდიული პრაქტიკა სწრაფად იცვლება გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (GenAI), ავტომატიზაციისა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გავლენით.

კურსის ფარგლებში იურისტები შეისწავლიან როგორ ხორციელდება იურიდიული სფეროს ციფრული ტრანსფორმაცა. კურსი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს LegalTech-ის (იურიდიული ტექნოლოგიების) შესახებ. პროგრამა შედგება ხუთი სტრუქტურირებული ლექციისგან. კურსის მიზანია მონაწილეებს შეასწავლოს როგორ ხორციელდება ტექნოლოგიების დანერგვა იურიდიულ პროცესებში.

ვისთვის არის კურსი

- პრაქტიკოსი იურისტებისთვის;
- კომპანიების შიდა იურიდიული დეპარტამენტებისთვის;
- იურიდიული კომპანიებისთვის;
- სამართლის სტუდენტებისთვის;
- Legal Tech-ით ყველა დაინტერესებულისთვის

კურსის რესურსები

- თემატური პრეზენტაციები
- სესიების ჩანაწერები
- საკითხავი მასალა.

კურსის ღირებულება

- ინგლისურენოვანი კურსი - $150
- ქართულენოვანი კურსი - $100

სერთიფიკატი

გაიცემა ოფიციალური სერტიფიკატი European Legal Technology Association (ELTA)-ს მიერ

დისტანციური

ხუთი ონლაინ სესია, 50 წუთიანი ხანგრძლივობით

პრაქტიკული

მორგებულია პრაქტიკოსი იურისტების მიერ ყოველდღიურ გამოყენებაზე

გლობალური

უძღვებიან იურიდიული ტექნოლოგიების წამყვანი ექსპერტები

კრიტერიუმები

მონაწილეებს არ მოეთხოვებათ ტექნოლოგიური ცოდნა

კურსის შედეგები

კურსის შემდეგ, მონაწილეებს შეეძლებათ:

- შეაფასონ სხვადასხვა LegalTech ინსტრუმენტები და მათი პოტენციური ბიზნეს ღირებულება იურიდიული პრაქტიკისთვის
- შეარჩიონ და დანერგონ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები
- ეფექტურად გამოიყენონ GenAI იურიდიული დოკუმენტების შესაქმნელად, ანალიზისთვის და სამართლებრივი კვლევისთვის; შეიმუშავონ ეფექტური პრომპტები
- მართონ ავტომატიზირებული იურიდიული პროცესები
- შეაფასონ და მართონ ტექნოლოგიური რისკები
- დაგეგმონ კორპორაციის ან იურიდიული კომპანიის ციფრული ტრანსფორმაცია

კურსის სტრუქტურა და განრიგი

5 სესია

- **ინგლისურენოვანი კურსი -** 4-17 დეკემბერი, ორშაბათს და ხუთშაბათს, 20:00 საათზე.
- **ქართულენოვანი კურსი** - 5-19 დეკემბერი, სამშაბათს და პარასკევს, 20:00 საათზე.

ლექცია 1

LegalTech 101: სამართლის ციფრული ტრანსფორმაცია

როგორ ცვლის ციფრული ტრანსფორმაცია ტრადიციულ იურიდიულ მომსახურების მოდელს. მონაწილეები გაეცნობიან LegalTech-ის ძირითად ცნებებსა და ტენდენციებს, სერვისების კლასიფიკაციას, ინოვაციურ ტექნოლოგიებს (მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებს, ავტომატიზაციას, AI-ის) და ციფრული ტრანსფორმაციის გავლენას იურიდიული ბიზნესის მოდელებზე.

- ტრადიციული იურიდიული მომსახურების მოდელი v ციფრული ტრანსფორმაცია
- LegalTech-ის ცნება, ეკოსისტემა და განვითარების ტენდენციები;
- LegalTech სერვისების კლასიფიკაცია: ტრანზაქციული vs მართლმსაჯულება
- ინოვაციები იურიდიულ მომსახურებაში: მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, ავტომატიზაცია, AI
- ციფრული ტრანსფორმაციის ღირებულება და იურიდიული ბიზნესის მოდელებზე გავლენა
- საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები LegalTech-ში
- როგორ აფასებენ ფირმები ციფრულ მზაობას (Digital Readiness)

ლექცია 2

ხელოვნური ინტელექტი იურიდიულ პრაქტიკაში

სესია მიმოიხილავს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (GenAI) საფუძვლებსა და მის პრაქტიკულ გამოყენებას იურიდიულ საქმიანობაში. მონაწილეები გაეცნობიან წამყვან LLM-ებს (GPT, Claude, Gemini, Copilot) და მათ გამოყენებას იურიდიულ პროცესებში, ისწავლიან პრომპტ ინჟინერიის ძირითად ტექნიკებსა და ეფექტური პრომპტების შექმნის სტრატეგიებს სხვადასხვა სამართლებრივი ამოცანისთვის.

- გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (GenAI) საფუძვლები და შესაძლებლობები იურიდიულ პრაქტიკაში (ხელშეკრულებების შედგენა და ანალიზი, სამართლებრივი კვლევა და ა.შ)
- LLM-ები (GPT, Claude, Gemini, Copilot) და მათი გამოყენება იურიდიულ პრაქტიკაში
- პრომპტ ინჟინერიის ტექნიკა: სტრუქტურა, სიზუსტე, კონტექსტი
- ეფექტური პრომპტების შექმნის სტრატეგიები სხვადასხვა ამოცანებისთვის (კვლევა, დოკუმენტების ანალიზი, ხელშეკრულებების შედგენა, არგუმენტების ფორმულირება და ა.შ)
- Drafting Assistant-ების პრაქტიკული დემო
- შედეგების სიზუსტის შეფასება და შეცდომების კონტროლი

ლექცია 3 დოკუმენტების მენეჯმენტი დიდ ორგანიზაციებში

სესია მიმოიხილავს ხელშეკრულების შედგენის ტრადიციულ და ტექნოლოგიურ მოდელებს და CLM-ის ძირითად ეტაპებს — დრაფტინგიდან განახლებამდე. მონაწილეები გაეცნობიან ცოდნის მართვის (Knowledge Management) სტრატეგიულ მნიშვნელობას, CLM-ის დანერგვის პრაქტიკულ სტრატეგიებს, თანამშრომელთა ჩართულობისა და პროცესების სტანდარტიზაციის როლს ეფექტურობის ზრდაში.

- ხელშეკრულების შედგენის ტრადიციული მოდელი vs ტექნოლოგიური მოდელი
- ხელშეკრულების შედგენის პროცესის ეტაპები: ინიცირება და დრაფტინგი, რედლაინინგი და რედაქტირება, ციფრული ხელმოწერა, შესრულების მონიტორინგი, ვალდებულებების მართვა, განახლება და მისი ავტომატიზაცია (Contract Lifecycle Management)
- ცოდნის მართვის (Knowledge Management) სტრატეგიული ღირებულება
- CLM-ის დანერგვის სტრატეგიები დიდ ორგანიზაციებში;
- თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდა და ტრენინგის საჭიროებები
- პროცესების სტანდარტიზაცია და კონტროლის მექანიზმები

ლექცია 4

სასამართლო დავების მენეჯმენტი და E-billing:

ეს სესია მიმოიხილავს სასამართლო დავების მენეჯმენტის ციფრულ ტრანსფორმაციას — პროცესების ავტომატიზაციას, AI-ის გამოყენებას დოკუმენტებისა და ქეისების ანალიზში, ასევე ელექტრონული ბილინგისა და ბიუჯეტირების თანამედროვე მიდგომებს.

- სასამართლო დავების მენეჯმენტის (Litigation Management) მნიშვნელობა თანამედროვე იურიდიულ პრაქტიკაში
- სამართალწარმოების პროცესების ციფრულად მართვის ინსტრუმენტები და პლატფორმები
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზსა და ქეისების მონიტორინგში
- ელექტრონული ბილინგის (E-Billing) სისტემები — სტანდარტები, ფორმატები და საუკეთესო პრაქტიკები
- ბიუჯეტირების, ანგარიშგებისა და კლიენტურ ურთიერთობათა ავტომატიზაცია

ლექცია 5

ხელშეკრულებების სრული ციკლის ავტომატიზაცია (CLMs) და ელექტრონული ხელმოწერები

სესიის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან CLM პლატფორმების ფუნქციონალსა და ინტეგრაციის მაგალითებს, ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივ ძალას საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში, CLM და E-Signature სისტემების სამუშაო პროცესში ინტეგრაციის, მონაცემთა დაცვისა და შესაბამისობის საკითხებს.

- Contract Lifecycle Management-ის კონცეფცია და სტრატეგიული ღირებულება კორპორატიული საჭიროებებისთვის
- CLM პლატფორმების შესაძლებლობები, და ინტეგრაციის მაგალითები
- ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი ძალა საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკა
- ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმები: DocuSign, Adobe Sign, Signify)
- CLM და E-Signature სისტემების ინტეგრაცია ერთიან სამუშაო პროცესში
- მონაცემთა დაცვა, იდენტიფიკაცია და შესაბამისობა (Compliance) E-Signature პროცესებში

წინა პროგრამების სპიკერები

LAURA JEFFORDS GREENBERG

Wordsmith

KOTE MUSHEGIANI

OpenAI

TANISHA MINEV

Docplanner

EMMANUELE RUMI RIOS

troutman pepper GPD

HOLGER ZSCHEYGE

ELTA

TESSA MANUELLO

THE LEGAL DESIGNERS Legal Creatives

TAMTA IVANISHVILI

BLC Law Office

DAVID KAPANADZE

LPA Law Firm

MEI-CHI LIOU

S!D

GEORGE SVANADZE

ANDERSEN A member firm of Andersen Global MG LAW

MARIAM NEPARIDZE

Google



NAKO EDISHERASHVILI

Lawformer

პარტნიორები

Legal Creatives

ELTA EUROPEAN LEGAL TECH ASSOCIATION

NOXTTON

troutman pepper GPD

D BLOCK WORKSPACE STAMBA

LPA Law Firm

S!D

Lawformer

GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

THE LEGAL DESIGNERS

Signify

Montpellier Sentinel

BLC Law Office

ANDERSEN A member firm of Andersen Global

CALEN AI

BITFURY

LegalTech Meetup Georgia

Lawformer

ELTA EUROPEAN LEGAL TECH ASSOCIATION

საკონტაქტო ინფორმაცია

t.vasadze@lawformer.com
www.legaltechmeetup.com

დარეგისტრირდი კურსზე